

ზოგადი ცნობები საჯარო ინფორმაციის შესახებ

- საჯარო ინფორმაცია ღიაა. ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია (თუ ის არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას) მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა (ასლი, ამობეჭდილი ან ელექტრონული ვერსია), აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

- საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია აგრეთვე ელექტრონულად. აღნიშნული სერვისი მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, ასევე ამა თუ იმ საჯარო ორგანიზაციაში ელექტრონულად გააგზავნოს ნებისმიერი სახის წერილი, მოთხოვნა და/ან საჩივარი და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მოქალაქის პორტალიდან (MY.GOV.GE). მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან მოქალაქის პორტალზე.

- ელექტრონულად წარმოებულ კორესპონდენციაზე საჯარო ორგანიზაციიდან პასუხის მიღების შესახებ მოქალაქეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტითა და მოკლე ტექსტური შეტყობინებით. საჯარო ორგანიზაციის პასუხის სრულად ნახვა კი მოქალაქეს შეეძლება მოქალაქის პორტალზე – „შესრულებული დავალებების“ სექციაში. მომხმარებელს აქვე ექნება საშუალება დაათვალიეროს მის მიერ სხვადასხვა დროს ამა თუ იმ საჯარო ორგანიზაციაში გაგზავნილი წერილები და მიღებული პასუხები.

მომსახურება ვრცელდება იმ საჯარო ორგანიზაციებზე, სადაც დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. სიტემებს შორის ელექტრონული სახით დოკუმენტების გაცვლას უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული სისტემების საინტეგრაციო ინფრასტრუქტურა.

პორტალზე მოქმედებს რეგისტრაციის 2 მეთოდი:

1. რეგისტრაცია მომხმარებლის სახელითა და პაროლით, რომლის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში;

2. ონლაინ რეჟიმში ახალი პირადობის მოწმობის გამოყენებით.

- მოქალაქის პორტალზე **MY.GOV.GE** რეგისტრაცია ID ბარათის გარდა აგრეთვე შესაძლებელია მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. მომხმარებლის სახელითა და პაროლით პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებელი შეძლებს ისარგებლოს პორტალის მომსახურებათა უმეტესობით, როგორცაა: სხვადასხვა სახის პერსონალური ინფორმაციის მიღება ოჯახთან, ქონებასთან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ასევე სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და გადასახადების, მათ შორის კომუნალური გადასახადების გადახდა. ხოლო ისეთი მომსახურებებისათვის, რომლებიც მოითხოვს ციფრულ ხელმოწერას, მაგალითად, ბიზნესის დარეგისტრირება, კვლავ საჭიროა ID ბარათით რეგისტრაცია.

- მოქალაქის პორტალი **MY.GOV.GE** წარმოადგენს ონლაინრესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისები. პორტალი

2012 წლის მაისიდან ფუნქციონირებს და შექმნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ. მოქალაქის პორტალი მომხმარებელს საშუალებას აძლევს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, ელექტრონული ID ბარათის მეშვეობით დისტანციურად, ონლაინრეჟიმში, რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით ისარგებლოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისებით.